პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 1943 წ. № 39 (6664). ფასი 20 კაპ.

საწარმოო თათბირები ფრონტული მუშაობისათვის ბრძოლაში

Dიდი სტალინის გენიალური მხედართმთავრობით გმირი წითელი არმია გამანადგურებელ დარტყმებს აგებს გერმანელ ფაშისტთა ურდოებს, სჯობს მათს ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, მტრისაგან ათავისუფლებს საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს. ფრონტებიდან ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები.

ამ სამართლიან, დიად განმათავისუფლებელ სამამული ომში ზურგის მუშაკები მზარდ დახმარებას უწევენ წითელ არმიას, დაუსრულებელ ნაკადად უგზავნიან მას საომარ მასალას, საჭურველს, სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს, ყველაფერს, რაც საჭიროა ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის სრული მოსპობისათვის.

ზურგის დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდა წითელი არმიის XXV წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXII წლისთავის აღსანიშნავად. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამ შეჯიბრებაში დაწინაურდა ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მრავალ საწარმოთა კოლექტივი. მაქსიმალურად იყენებენ რა ადგილობრივ რესურსებს, ისინი ზოგავენ ნედლეულს, სათბობს, ელექტროენერგიას და გეგმის გადამეტებით იძლევიან პროდუქციას.

გეგმების დროზე და გადაჭარბებით შესრულების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საწარმოო თათბირები, რომლებიც ზრდიან მუშების, მოსამსახურეების და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემოქმედებითს აქტივობას, ხელს უწყობენ სტახანოვური უნარისა და ინიციატივის განვითარებას, მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლას და ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საწარმოო თათბირები დიდად ეხმარებიან ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებს — პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს — უკეთესად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე, წითელი არმიის წინაშე.

„...იქ, სადაც პროფორგანიზაციები, — ამბობდა ამხ. ნ. შვერნიკი თავის გამოსვლაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციაზე, — შრომის ორგანიზაციის საკითხებზე მუშაობენ, იქ, სადაც საწარმოო თათბირები კონკრეტულად მუშაობენ წარმოების საკითხებზე, იქ, სადაც პროფკავშირული მუშაკები სიმტკიცეს იჩენენ წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში, იქ აღწევენ დადებითს შედეგებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისა და მუშებისათვის“.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროში (საამქროს მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. თათარაშვილი) უმოძრაოდ იდგა ორთქლის ჩაქუჩი, მზღუდავ დაზგებს დანები არ უვარგოდა, ყოველთვიურად საამქროში საშუალოდ 2-2½ ტონა რკინის ნარჩენი გამოუყენებელი რჩებოდა. ამ მტკივნეულ საკითხს შეეხნენ მუშები საამქროს საწარმოო თათბირზე მიმდინარე წლის 11 იანვარს. თათბირმა გაწოტანა კონკრეტული გადაწყვეტილება ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. როგორია შედეგი? ორთქლის ჩაქუჩი შეკეთებულია, სპეციალურად გამოყოფილმა ამხანაგებმა მზღუდავ დაზგებს დანები გამოუცვალეს და ზოგიც შეაკეთეს. რკინის ნარჩენებს კი, რომლებსაც საამქროში წინათ არ იყენებდნენ, ახლა ხმარობენ სხვადასხვა დეტალების დამზადებაზე; გარდა ამისა, ამ ნარჩენებისაგან ფრონტელთა ოჯახებისათვის ამზადებენ სხვადასხვა საოჯახო ნივთებსაც.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სადაც საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეა ამხ. პატარაია, იანვრის პირველ რიცხვებში მოწვეული საქსოვი და მოსამზადებელი საამქროების მუშათა საწარმოო თათბირზე მქსოველმა მარგველაშვილმა განაცხადა: მართალია, მე შევასრულე ნაკისრი ვალდებულებანი, მაგრამ ჩემთან მომუშავე ზოგი ამხანაგი ვერ ასრულებს ვალდებულებას იმისათვის, რომ მათ არა აქვთ საჭირო დამზმარე მასალები, როგორიც არის მაქოები, აგრეთვე ელნათურები და სხვ.

ეს ოქმში ჩაიწერა, საწარმოო თათბირმა ამაზე სათანადო გადაწყვეტილება მიიღო. ამ თათბირის გადაწყვეტილების შედეგად ადმინისტრაციამ ფაბრიკაში ჩამოაყალიბა სახელოსნო, სადაც ამჟამად განუწყვეტლივ მზადდება აბრეშუმის წარმოებისათვის ფრიად საჭირო მაქოები.

ასეთ შედეგებს ვიებულობთ კარგად ჩატარებული საწარმოო თათბირებისაგან. მაგრამ ყველგან როდია ასე. ზოგან საწარმოო თათბირების უდიდეს მნიშვნელობას სათანადოდ არ აფასებენ, თბილისის ბერიის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის (ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. არუთინოვი) მთავარი მექანიკის განყოფილებაში გასულ წელს მხოლოდ ერთხელ მოიწვიეს საწარმოო თათბირი. ამ თათბირზე გამოიტანეს რამდენიმე გადაწყვეტილება, მაგრამ ისინი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მათი შესრულების შემოწმებისათვის პროფორგანიზაციას არ უზრუნვია. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ამ ფაბრიკის სხვა საამქროებშიც.

საწარმოო თათბირებზე საკითხების განხილვა მხოლოდ საქმის დასაყენებლია. ადგილობრივი პროფორგანიზაციების ხელმძღვანელთა უშუალო მოვალეობას შეადგენს მიიღონ ყველა ზომა, რათა საწარმოო თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებანი, თათბირის მონაწილეთა ძვირფასი წინადადებანი დაჩქარებით იქნას განხორციელებული.

შესრულების შემოწმების უზრუნველსაყოფად საჭიროა საწარმოო თათბირების ოქმებში მთლიანად და გარკვევით იწერებოდეს წამოყენებული წინადადებანი და მიღებული გადაწყვეტილებანი. დასახელებულ უნდა იქნან ადამიანები, რომელნიც პასუხისმგებელნი იქნებიან გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საწარმოო თათბირების წარმატება დამოკიდებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის კარგად ჩატარებაზე: ყველამ უნდა იცოდეს თათბირის მოწვევის დრო და ადგილი, საწარმოო თათბირები უნდა ტარდებოდეს მოკლე დროში, უნდა ატარებდეს საქმიან ხასიათს. თათბირების დღის წესრიგში დასმული უნდა იყოს წარმოების ძირითადი საკითხები. საწარმოო თათბირების მოწყობასა და ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ საამქროთა უფროსები, ინჟინრები, ოსტატები. საჭიროა კარგად დავიხსომოთ, რომ ფრონტული მუშაობისათვის ბრძოლაში საწარმოო თათბირებს თვალსაჩინო როლი ეკისრებათ.

პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ პროფესიულ ორგანიზაციებს საწარმოო თათბირების სანიმუშოდ ჩატარებაში.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკურად განვახორციელოთ წითელი არმიის XXV წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXII წლისთავის აღსანიშნავად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, შევასრულოთ საწარმოო თათბირებზე მიღებული გადაწყვეტილებანი, ზურგში თავდადებული მუშაობით ყოველდღიურად ვზარდოთ შემტევი წითელი არმიისადმი დახმარება ვერმანელი ფაშისტი დამპყრობლების სრული განადგურებისათვის.

სკკ. კ. პ. (ბ) სტალინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სტალინგრადი, 16 თებერვალი. (საკუთარი). შესდგა სკკ. კ. პ. (ბ) სტალინგრადის საქალაქო კომიტეტის მრავალი პლენუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: პარტიის რაიკომების მდივნებმა, რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა, ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მრავალ ამბავების შესახებ მოხსენება გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან ქალაქის განთავისუფლებასთან დაკავშირებით გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პიქსნმა.

მომხსენებელმა მოუთხრო ქალაქის პარტორგანიზაციის საქმიანობის შესახებ სტალინგრადის გმირული დაცვის პირობებში და დაწერილებით გააშუქა ღონისძიებანი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს გერმანელებისაგან დანგრეული მეურნეობის აღსადგენად.

5 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტელი ალყის, ჰაერიდან სასტიკი დაბომბვისა და ზარბაზნებისა და ნაღმსატყორცნების ინტენსიური დაშენის შედეგად, სტალინგრადი ნანგრევებად არის ქცეული. აღდგენას მოითხოვს: ყველა დიდრონი საწარმონი, ქალაქის ტრანსპორტი, კომუნალურ-სანიტარო მეურნეობა, წყალსადენი, კავშირგაბმულობა, თეატრები, ინსტიტუტები, კლუბები და სკოლები. მომხსენებელმა რწმენა გამოთქვა, რომ სტალინგრადის ბოლშევიკები, ქალაქისა და ოლქის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის დახმარებით შესძლებენ ძალე ააღორძინონ ეოლგის დიდი ქალაქი და კიდევ უფრო დიდებული და მშვენიერი გახადონ იგი, ვიდრე წინათ იყო.

ქალაქში უკვე გაჩაღებულია სახალხო მეურნეობის აღსადგენი მოსამზადებელი სამუშაოები. ათასობით სტალინგრადელი აქტიურად იღებს მონაწილეობას ქუჩებისა და მოედნების გაწმენდაში, ნაღავლის შეგროვებაში. გახსნილია სასადილოები, ეწყობა მაღაზიები, მუშაობა დაიწყეს ამბულატორიებმა. სწრაფად აღადგენენ დანგრეულ პურის საცხობებს, მოქმედი პურის ქარხნები პურის ცხობას უმატებენ. ზოგიერთმა საწარმომ მოაგვარა შენობათა რემონტისათვის საჭირო ხის კონსტრუქციების დამზადება.

პლენუმზე სიტყვა წარმოსთქვა სკკ. კ. პ. (ბ) სოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ჩუიანოვმა.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ქალაქის პარტორგანიზაციის ამოცანებს სტალინგრადის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ სტალინს.



ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲒᲠᲐᲓᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ
ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲒᲝᲠᲡᲙᲘ
ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲒᲝᲠᲡᲙᲘ
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ
ᲙᲐᲡᲠᲘᲜᲝᲕᲘ
ᲙᲐᲡᲠᲘᲜᲝᲕᲘ
ᲙᲣᲑᲐᲜᲘᲡᲙᲘ
ᲙᲣᲑᲐᲜᲘᲡᲙᲘ
ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲓᲘ
ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲓᲘ
ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲓ

წერილი

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეებისა სოფლის მთელი ახალგაზრდობისადმი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების კომკავშირელი ქალებისა და ვაჟებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გმირი წითელი არმია წარმატებით მიდის წინ, დასავლეთისაკენ, და სწმენდს საბჭოთა მიწა-წყალს საზიზღარი გერმანელი დამპყრობლებისაგან. მშობლიურ საბჭოთა ოჯახს ზიდიზედ უბრუნდება ქალაქები და სოფლები. მათში კვლავ ფრიალებს ძლევამოსილი წითელი დროშა.

საბჭოთა მეომრების გულადობა და მამაცობა მოგვიწოდებს ჩვენ გავაორკეცოთ, გავასამკეცოთ დახმარება ფრონტისადმი, მივცეთ ჩვენს ქვეყანას, წითელ არმიას კიდევ უფრო მეტი პური, კარტოფილი, ხორცი, ტექნიკური კულტურები. შრომაში, ისევე როგორც ბრძოლაში,—ასეთია ჩვენი ახალგაზრდობის დევიზი. ვიყოთ ფრონტელთა ღირსნი—ამ აზრით ცხოვრობენ საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდა პატრიოტები.

მოსკოვის ოლქის სოფლის ახალგაზრდობამ კასულ სასოფლო-სამეურნეო წელს გულმოდგინედ შრომობდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. 165.000 ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი და ვაჟი, 110.000 პიონერი და მოწაფე მუშაობდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, 3.000-ზე მეტი ქალიშვილი მართავდა ტრაქტორებს და ფრონტზე წასულ ტრაქტორისტთა მაგიერობას ეწეოდა.

ახალგაზრდობამ ტრაქტორთა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ორ მილიონზე მეტი მანეთის სამარაგო ნაწილები და ინსტრუმენტი შეაგროვა. პირადი დანაზოგიდან 25 მილიონი მანეთი შეიტანეს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ სატანკო კოლონა „მოსკოველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის.

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენთან კარგად მუშაობდა ახალგაზრდობა ყოველ კოლმეურნეობაში. საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში. იყვნენ შეუგნებელი ახალგაზრდა კოლმეურნენი, რომლებსაც სურდათ ეცხოვრათ, მუშაობისათვის თავი დაეძვრინათ. იყვნენ ისეთი ტრაქტორისტები და კომბაინერებიც, რომლებიც ზედმეტ საწვავს ხარჯავდნენ, მოსავლის აღებისას დიდძალ პურეულს ჰკარგავდნენ. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობა სუსტად იბრძოდა მაღალი მოსავლისათვის, განსაკუთრებით კარტოფილის, მაღალი მოსავლისათვის.

არ შეიძლება, რომ წელს ჩვენ დავუშვათ ეს ნაკლოვანებანი.

საჭიროა, რათა თითოეულ ჩვენს კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში ახალგაზრდობა კომკავშირელთა მეთაურობით გამოვიდეს თესვის კამპანიის წარმატებით მომზადებისა და ჩატარების მებრძოლი ორგანიზატორი.

ახალგაზრდა კოლმეურნე ქალებო და ვაჟებო, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშებო!

ჩვენი ქვეყანა ომიანობის მეორე გაზაფხულის საზღვარზეა. მოსავალს თესვის დროს ეყრება საფუძველი, „რასაც დასთესავ, იმას მოიმკი“,—ამბობს რუსული ხალხური ანდაზა.

პირველი და ყველაზე მთავარი ჩვენი ამოცანაა გავადიდოთ მოსავალი, ავიღოთ მეტი პური, კარტოფილი, ბოსტნეული. ისინი ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას ისევე, როგორც თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები, საომარი მასალები. პურისათვის, ბოსტნეულისათვის, კარტოფილისათვის ბრძოლა გერმანელებზე გამარჯვებისათვის ბრძოლაა. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ ისე, რომ თითოეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ უხვი მოსავალი მიიღოს.

საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ თითოეული მანქანა, არ დავუშვათ ტრაქტორების მოკლდინა, საწვავი და საცხი მასალების უნაყოფო ხარჯვა.

ახალგაზრდობამ ხელი უნდა მოჰკიდოს იმას, რომ თესვის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნას მთელი ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი.

სანიმუშოდ მოვეგზავნოთ, დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა—ეს ამჟამად ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი პატრიოტული საქმეა.

მოვითათბირეთ რა ჩვენს თაობირზე, ჩვენ გადაგწყვეტეთ ჩავატაროთ შემდეგი:

მინდვრის სამუშაოებისათვის მანქანებისა და ინვენტარის მომზადების დარგში

1. 1 აპრილამდე შეავმოწმოთ, თუ როგორ არის შეკეთებული თითოეული ტრაქტორი, გუთანი, ფარცხი, სათესი მანქანა. თუ კოლმეურნეობაში გუთანი გვაკლია, გამოვძებნოთ ეგი; თუ ფარცხს კბილები არა აქვს — გამოვკეთოთ, თუ სახნისები გალესილი არ არის — გავლესოთ. ჩვენ გვსურს მივაღწიოთ იმას, რომ მემინდვრეობის თითოეულ ბრიგადაში საკმაო რაოდენობით იყოს ვარგისი ინვენტარი.

2. მოვაგვაროთ საკოლმეურნეო სამჭედლოთა მუშაობა: დავამზადოთ ხის ნახშირი, შეავაგროვოთ ჯარბი. გამოვძებნოთ ინსტრუმენტი, რაც კი გვაკლია. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მჭედლები არ არიან, გამოვყოთ კომკავშირელი ვაჟები და ქალები ან ახალგაზრდა კოლმეურნენი და გავგზავნოთ ისინი სასწავლად მეზობელ კოლმეურნეობათა სამჭედლოებში.

3. გასული წლის გამოცდილების მიხედვით შევაგროვოთ და დავამზადოთ სამარაგო ნაწილები და ინსტრუმენტი ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტოდ. დავამთავროთ ეს სამუშაო 1 აპრილამდე.

4. მტს-ების კომკავშირელებმა კოლმეურნეობათა კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან ერთად თებერვლის განმავლობაში დაამყარონ სანიმუშო ზესრგი მტს-ების სახელოსნოებში და მტს-ების საკარმიდამო ნაკვეთებზე, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახად საჭირო დახურული ფართების მშენებლობაში.

თესვისათვის თესლის მომზადების დარგში

1. მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობებში მთლიანად იქნას დამზადებული თესლი მთელი სათესი ფართობისათვის. ამისათვის ეწინარეს ყოველისა, გამოვარკვიოთ: რამდენია კოლმეურნეობაში თესლეული და რამდენია საჭირო. თუ თესლეული აკმარისი არ არის, გამოირკვეს რა წყაროებიდან უნდა დაიფაროს ეს ნაკლებობა, შეეუდგეთ პირადი მარაგიდან შეგროვებას, მოვაწყოთ სხვა კოლმეურნეობათა მხრივ ამხანაგური დახმარება.

უზრუნველვყოთ თესლის შენახვის ყოველდღიური სასტიკი კონტროლი, თვალყური ვადევნოთ, რომ თესლი დატაცებულ არ იქნას და არ გაფუჭდეს.

2. ყოველი ზომა მივიღოთ იმისათვის, რათა სათესლე მასალა მაღალი ხარისხისა იყოს: დავახარისხოთ მთელი თესლეული, შევამოწმოთ მისი სისუფთავე, აღმოცენების უნარიანობა, გადავცვალოთ ცუდი ხარისხის თესლი კარგი ხარისხისაზე.

თესვის წინ შევწამლოთ თესლეული, ჩავატაროთ იარაოვიზაცია და დავალბოთ.

3. გავაძლიეროთ მუშაობა სასურსათოდ განკუთვნილი კარტოფილის ტუბერის წვეროების შეგროვებისათვის, ჩავაბათ ამ საქმეში პიონერები და მოსწავლეები. უზრუნველვყოთ უკვე დამზადებული სათესლე მასალის სრული დაცვა.

მინდვრის სამუშაოებისათვის ცოცხალი გამწევი ძალის მომზადების დარგში

უზრუნველვყოთ ცხენის მზრუნველობით და სიყვარულით მოვლა. მისი წესიერი კვება და შენახვა, რათა მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული ცხენი უახლოეს ხანში საშუალოდ და საშოალოზე მეტად იყოს ნასუქი.

ამისათვის:

1. კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად, ვეტერინარი ექიმის ან ზოოტექნიკოსის მონაწილეობით, შევამოწმოთ კოლმეურნეობაში ყველა ცხენი, აღადგინოთ და დასუსტებული ცხენები ცალკე ჯგუფებად გამოვყოთ, გავაუმჯობესოთ მათი მოვლა და მოვაწყოთ საჭირო მკურნალობა.

პიონერებმა და მოსწავლეებმა აიღონ შეჯობა ცხენებზე და უზრუნველჰყონ მათი ყოველდღიური მოვლა და შენახვის კონტროლი.

2. შევქმნათ ახალგაზრდობის საკონტროლო საგუშაგოები, რომელთაც დაეკისროთ ყოველდღიურად, ღამითაც და ღამითაც, შეამოწმონ, სრულად ეძლევათ თუ არა საკვები ცხენებს, როგორ ინახება გაზაფხულისათვის დატოვებული საკვების მარაგი. შემოწმებით გამოვკვეულ ნაკლოვანებათა შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ კოლმეურნეობის გამგეობას და მიაღწიონ ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებას.

3. გამოვყოთ მეჯინიბეებად სამუშაოდ საუკეთესო ახალგაზრდობა. დავამზადოთ ახალგაზრდობის ძალებით ჯგარისები და სამფრველები, სუფთად შევინახოთ ცხენები.

4. მივაღწიოთ ცხენების გაუპიროვნების თავიდან აცილებას, კოლმეურნეებზე ცხენების მტკიცედ მიმაგრებას, აკაზმულობისა და საზიდრების კარგად შენახვას.

5. ფართოდ გამოვიყენოთ გამწევ ძალად სამუშაოდ ნაკლებნაყოფიერი ძროხები, განსაკუთრებით დეკეულები, აგრეთვე მოზვრები.

თესვის დაწყებამდე საჭირო რაოდენობით დავამზადოთ თითოეულ კოლმეურნეობაში აკაზმულობა, მივაჩვიოთ შებმულად მუშაობას ძროხები.

ზამთრის აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების დარგში

1. ფართოდ მივაწყოთ ახალგაზრდობისა და ყველა კოლმეურნეთა მასობრივი აგროტექნიკური სწავლება. კომკავშირელებმა და ახალგაზრდა კოლმეურნეებმა საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე შეისწავლონ: სასუქის შენახვისა და გამოყენების წესები; რა მოთხოვნები წარედგინება თესლეულს; როგორ უნდა ჩატარდეს თესვა წესიერად; როგორ უნდა დამუშავდეს გაზაფხულზე მიწა და რატომ არის საჭირო ღრმად ხვნა; როგორ უნდა მოეწყოს და აღირიცხოს შრომა; მოსავლის გადიდებისათვის დამატებით ანაზღაურების წესი; როგორ უნდა მივაღწიოთ კარტოფილის მაღალ მოსავალს.

2. თოვლის აღებამდე გავიტანოთ მთელი სასუქი კოლმეურნეობათა კარმიდამოებიდან, აგრეთვე კოლმეურნეთა კარმიდამოებიდან, მივაღწიოთ, რომ სასუქი კარგად დაწყობილ და დატკეპნილ გროვებად ინახებოდეს.

გავაძლიეროთ მუშაობა ადგილობრივი სასუქების შეგროვებისა და დამზადებისათვის, ამ საქმეში ფართოდ ჩავაბათ პიონერები და მოსწავლეები. შეავაგროვოთ, შეინახოთ და გაეიტანოთ მინდვრად ნაკარი, ქათმის ნაკელი, მოვაწყოთ კომპოსტის, ტორფისა და სხვა ადგილობრივი სასუქების დამზადება.

3. შევქმნათ მაღალი მოსავლის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლები. ამ რგოლებმა ახლავე გაშალონ თავისი ნაკვეთების გულმოდგინე მომზადება, შეაგროვონ და გაზიდონ მეტი სასუქი, კარგად მოამზადონ თესლეული, სრულ წესრიგში მოიყვანონ ცხენის ინვენტარი, დაამზადონ მთელი ხელის ინვენტარი.

საგაზაფხულო თესვის მომზადების და ჩატარების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ

1. გამოვყოთ მემინდვრეობის თითოეული ბრიგადისათვის აგიტატორები საუკეთესო კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შემადგენლობიდან, დავავალოთ მათ მუდმივად მართონ საუბრები კოლმეურნეებთან, უკითხონ და განუმარტონ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები, გაზეთების სტატიები. მივაღწიოთ იმას, რომ გაზეთები რეგულარულად მიდიოდეს უშუალოდ მინდორში, ბრიგადაში.

2. ფართოდ გავაშუქოთ გაზეთების, საბრძოლო ფურცლების, მაჩვენებელთა დაფების საშუალებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესვის მომზადებისა და ჩატარების მსვლელობა. შეავამოწმოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, მოვუთხროთ შემოწმების შედეგები კრებებზე, საწარმოო თათბირებზე, აგიტატორთა საუბრებში, ამასთან წავახალისოთ მოწინავენი და დავტუქსოთ ცუღლუტნი.

3. გადაჭრით გავაუმჯობესოთ კულტურულ-მასობრივი მუშაობა ახალგაზრდობაში, მოვაწყოთ მხატვრული თვითმოქმედების საღამოები, ცეკვა, სიმღერა.

4. თესვისათვის მზადების მსვლელობაში და თესვის დროს სისტემატურად, დაახლოებით ათ დღეში ერთხელ, შეკრიბოთ ახალგაზრდობა, მოვუთხროთ მას, თუ რა ბრის უკვე გაკეთებული თესვისათვის მზადებაში, როგორ მიმდინარეობს თესვა, და მოვეთათბიროთ მას — რა უნდა გაკეთდეს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საგაზაფხულო თესვის ჩატარების დარგში

1. ვიჩვენოთ პატიოსანი შრომის პირადი მაგალითი, შეუსვენებლივ, სტახანოვურად ვიმუშაოთ მინდვრებში, გაცდეთ საუკეთესო მეგუთნენი, მთესველნი, თესლის მიმწოდებელნი. გავიჩაღოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მინდვრების სტახანოველთა მოძრაობა. მივაღწიოთ, რათა ახალგაზრდა კოლმეურნეებმა ორ და მეტ ნორმას ასრულებდნენ დღეში.

2. მივაღწიოთ შრომის ზუსტ ორგანიზაციას, შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას კოლმეურნეთა შორის. თესვაზე მუშაობა იწყებოდეს მზის ამოსვლისთანავე და მთავრდებოდეს დაღამებისას.

3. გამოვიჩინოთ ინიციატივა კოლმეურნეობათა საბავშვო ბაგების, მოედნების შექმნაში და მათი კარგი მუშაობის უზრუნველყოფაში, რათა გავადგილოთ იმ ქალთა მუშაობა მინდვრად, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ.

4. კომკავშირელებმა — ტრაქტორისტმა ვაჟებმა და ქალებმა გვიჩვენონ მინდვრის სამუშაოებზე მანქანათა სრულად გამოყენების მაგალითი.

ტრაქტორი, რომელზეც კომკავშირელი ქალი ან ვაჟი მუშაობს, არ უნდა გაცდეს და არ უნდა იყოს ისეთი შემთხვევა, რომ გამომუშავების ნორმა არ შეასრულოს.

სატრაქტორო ბრიგადების უკეთესი ტექნიკური მომსახურებისათვის კომკავშირელებმა ნელი მოჰკიდონ ცხენით მომუშავე სალაშქრო სახელოსნოთა შექმნას.

5. გავაჩაღოთ გადამწყვეტი ბრძოლა საწვავისა და საცხი მასალების უსასტიკესი მომჭირნეობისათვის. შევქმნათ თითოეულ მტს-ში და საბჭოთა მეურნეობაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის საკონტროლო საგუშაგოები საწვავის მომჭირნეობის მისაღწევად. აქტიური მონაწილეობა მივიღოთ გეგმით გათვალისწინებული ტრაქტორების გაზგენერატორულ სსთბობზე გადაყვანაში, გაზგენერატორულ ტრაქტორებზე სამუშაოდ რეკომენდაცია მივცეთ საუკეთესო ტრაქტორისტს ქალებსა და ვაჟებს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შემადგენლობიდან. მოვაწყოთ კოლმეურნე ახალგაზრდობის ძალებით ჩილიკების (ხის პატარა ნაჭრების) დამზადება ამ ტრაქტორებისათვის.

6. პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სკიპიდარ-ნედლეულის, როგორც ტრაქტორის სათბობის, კუპრის, აგრეთვე თვლების საცხის წარმოებაში.

კომკავშირელო ქალებო და ვაჟებო! ახალგაზრდა კომკავშირელო ქალებო და ვაჟებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო!

საგაზაფხულო თესვის ჩატარებაში ცოტა სიძნელენი როდი იქნება. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, დავარაზმავთ და გავაერთიანებთ რა ყველა კოლმეურნეს თესვის წარმატებით ჩატარებისათვის სარბოლველად, ჩვენ წარმატებას მივაღწევთ და გამარჯვებულნი გამოვალთ. ამის თავდებია ჩვენი დიდი საყვარელი დედა-სამშობლოსადმი. ჩვენი სიძულვილი წყეული გერმანელი დამპყრობლებისადმი, ჩვენი მზადყოფნა — მთელი ძალ-ღონით დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას.

კომკავშირელო ქალებო და ვაჟებო! უფრო ფართოდ გაეაჩაღეთ კოლმეურნეობების, ბრიგადების, რგოლების სოციალისტური შეჯიბრება, ჩაბაი მასში მთელი ახალგაზრდობა, ყველა კოლმეურნე!

გახდით ახალგაზრდობის ნამდვილი ორგანიზატორები საგაზაფხულო თესვის უსწრაფესად დ. მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში! თესვის წარჩინებულად ჩატარებისათვის ბრძოლაში მიაღწიეთ თქვენი რიგების შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას, გააფართოეთ და განამტკიცეთ თქვენი კავშირი ახალგაზრდობასთან, აქტიურად ჩაბაი მისი საუკეთესო ნაწილი კომკავშირის რიგებში.

ვისრულობთ რა ამ წერილში ჩამოთვლილ ვალდებულებებს, ჩვენ გებმებით საკ. ალკ ცენტრალური კომიტეტის დროშისათვის ბრძოლაში და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ გორკის ოლქის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას.

ამხანაგო კომკავშირელო ქალებო და ვაჟებო! კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ახალგაზრდობავ! ჩვენს წინაშე დიდი, საპატიო, მაგრამ ამავე დროს ძნელი ამოცანები დგას! ჩვენ გვაქვს ყოველი შესაძლებლობა, რათა წარმატებით გავართვათ მათ თავი!

კოლმეურნე ახალგაზრდობავ, — გააჩაღე საბრძოლო ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის!

თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა!

დავეხმაროთ ჩვენს მამაც წითელ არმიას — გაანადგუროს მტერი, გაათავისუფლოს ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი გერმანულ-ფაშისტური სიბილწისაგან.

ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი მშობლიური ბელადისა და მხედართმთავრის იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** ხელმძღვანელობით წინ, გამარჯვებისაკენ!

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 თებერვლის დილის ცნობა

15 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

შახტის დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და 20 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერი ცდილობს შეჩერდეს შუალედს ზღუდეებზე, მაგრამ საბჭოთა ნაწილები ჰფუშავენ ჰიტლერელთა გეგმებს, ანადგურებენ მათ და დასავლეთისაკენ ერეკებიან. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა მოტოქვეითი ჯარის ბატალიონი, ხელთ ვიგდეთ 30 ავტომანქანა, 11 ტანკსწინააღმდეგო ქვემეხი, ბევრი ტყვიამფრქვევი და ავტომატი.

* * *

ლიზიასკ დასავლეთით ჩვენი ნაწილები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 44 ტანკი, 233 სატვირთო და 65 მსუბუქი ავტომანქანა, 150 ვაგონი, 21 ორთქლმავალი, ფეთქებად ნივთიერებათა საწყობი, საომარ მასალათა საწყობი, სათადარიგო ნაწილების საწყობი და საწყობი საინჟინრო ქონებიანად.

* * *

ვოროშილოვსკის სამხრეთ-დასავლეთით ნ ნაწილმა გასწყვიტა 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო 2 თვითმავალი ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი და 13 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე მტერი ჩვენი ქვეგანაყოფების წინააღმდეგ გამოიყენა მოტოქვეითი ჯარის დიდი ჯგუფი და რამდენიმე ტანკი. საბჭოთა მებრძოლნი გერმანელებს გრიგალისებური ცეცხლით შეხვდნენ. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 3 დაზიანებული ტანკი და 120 გვამი და უკან დაიხიეს.

* * *

ჩუგუევის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ნ ნაწილის მებრძოლები მტრის თავდაცვის კვანძში შეიჭრნენ და ხელთ იგდეს ტყვეები და დაავლა. სხვა უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები წინ მიიწევდნენ. მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში და მოსპეს გერმანელთა 11 ტანკი და 300-მდე მეალტომტე.

* * *

კურსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ოკანასკენელ ხანს აეროდრომებზე მოსპეს გერმანელთა 14 თვითმფრინავი და ლანდგიდან გადაადგეს მტრის 7 ეშელონი.

ვოროშილოვგრადი აღებულია

ვოროშილოვგრადი არმია, 14 თებერვალი. დღეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, არმიის გენერალ ამხ. ვატუტინის სარდლობით, გაიფთრებული ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი ვოროშილოვგრადი. დონბასის ამ უდიდეს სამრეწველო ცენტრს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გერმანელთა თავდაცვის სისტემაში მდინარე სევერნი დონეცის მოსახვევში. ჰიტლერელთა სარდლობამ ბევრი ძალა და საშუალება დახარჯა იმისათვის, რომ ქალაქი და მისი მისადგომები ხანგრძლივი თავდაცვისათვის გამოეყენებინა. გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს ფლანგიდან მოეტანათ კონტრიერიში ჩვენს ნაწილებზე და მოეწყვიტათ ისინი მომარაგების ბაზებისაგან. ცალკეულ კონტრიერიშებში გერმანელთა 100-მდე ტანკი იღებდა მონაწილეობას. საბჭოთა ქვეითებმა, არტილერისტებმა, ჯავშანმტვერეველებმა და ტანკისტებმა ამ ბრძოლებში გვიჩვენეს საბრძოლო მომწიფებულობა და იმის უნარი, რომ რთულ პირობებში აწარმოონ ბრძოლები მტრის დიდძალ ტანკებთან და სხვა ტექნიკასთან. კონტრიერიშები, რომლებიც განეწყვეტლივ გრძელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მოგერიებულ იქნა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტრის შევიწროებას და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთ განაპირა უბანში შეიჭრნენ. გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლები ქუჩებში. გერმანელები იცავდნენ ყოველ სახლს, ყოველ შენობას, რისთვისაც იყენებდნენ მრავალ ბლინდაჟსა და ძელმიწურ საცეცხლე წერტილს.

დღეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგობა საბოლოოდ დაძლეულია. ვოროშილოვგრადზე კვლავ ფრიალებს საბჭოთა დროშა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ბოღშევიკურად შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი

საუკეთესოდ მოვამზადოთ თესლი, ტრაქტორები, ცოცხალი გამწევი ძალა საგაზაფხულო თესვისათვის

ტრაქტორების რემონტის გეგმა შეასრულეს

აგარის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა ვადაზე 15 დღით ადრე შეასრულა. შემოდგომა-ზამთრის რემონტში თავი ისახელეს სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა შალვა მაისურაძემ, ალექსი ტიტვინიძემ და მიტო ზუბაშვილმა, აგრეთვე ტრაქტორისტებმა ალექსი ნოზაძემ, სერგო მაისურაძემ, არსენ ტოტოშვილმა, სანდრო ტიტვინიძემ, მიტო ოსაძემ.

აგარის მტს-ის დირექტორი ბაგნიძე
აგარის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ბატაშვილი

* * *

გურჯაანის მტს-ის კოლექტივმა 17 დღით ადრე შეასრულა ტრაქტორების რემონტის გეგმა. რემონტის ჩატარებაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე თავი ისახელეს სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა თადიაშვილმა, პოოდმა, ელიკოშვილმა, სეფიაშვილმა, ტრაქტორისტებმა კობახიძემ, ჭიკაძემ, ბასილაშვილმა. ამჟამად აცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მაბამელი იარაღების რემონტი, აგრეთვე დაწყებულია კომბაინების რემონტი.

გურჯაანის მტს-ის დირექტორი ДАВИТАШВИЛИ
გურჯაანის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ბურაბანიძე

მოწინავენი თესვისათვის მზადებაში

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის. მტს-მა ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. შარშან საგაზაფხულო ხვნა ტრაქტორებმა 15 თებერვალს დაიწყეს, წელს კი 25 დღით ადრე და უკვე მოხნულია ტრაქტორებით 350 ჰექტარი. ტრაქტორისტები: სოსო გოგუაძე, მიშა ფურმახი, ეალიკო ღოღობერიძე, იაშა სალუქვაძე და პეტრე მილეები ყოველდღიურ გეგმას 100 პროცენტით ასრულებენ.

კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საყანე და საბოსტნე ფართობების მომზადება, ჩაის პლანტაციების შებარვა, ციტრუსების პლანტაციების რემონტი, იარაღ-მანქანების მომზადება, თესლის გამოყოფა. აღნიშნულ სამუშაოებში მიცემულ დავალებებს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებენ სოფ. მერიის (თამაზდომარე მიქაძე), ნატანების (ჯაბუა), შრომის (ორაგველიძე), გურიანთის (მალაზონია), განახლების (კვაჭანტირაძე), ლიხაურის (ბოლქვაძე) კოლმეურნეობები.

ჩაის პლანტაციების შებარვის და სხვა სამუშაოთა შესრულების საქმეში ჩამორჩენილ მთისპირის (თამაზდომარე დოლიძე), შუა ბახვის (ცეცხლაძე), ვაკიჯვრის (გიორგაძე) კოლმეურნეობები.

გმირი წითელი არმიის წარმატებები ახალ ენტუზიაზმს იწვევს. რაიონში ახალი ძალა გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ლ. ლოლაძე

უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად

ხაშური (ტელეგრაფით). ამ დღეებში შესდგა ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. მოხსენებით საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ გამოვიდა ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზუმბაძე. სიტყვებით გამოვიდა 14 ამხანაგი.

თათბირმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაზე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ დიდი მხედართმთავრის—ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით წითელი არმიის ისტორიულმა გამარჯვებებმა რაიონის კოლეტურნეი ახალი პატრიოტული საქმეებისათვის აღაფრთოვანა. კოლმეურნეობათა შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩასატარებლად.

თათბირის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. აკ. ამნაძემ. მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

თათბირმა მიიღო დადგენილება ფრონტებზე მყოფ წითელარმიელთა ოჯახებისათვის დასახმარებლად რაიონში გეგმის გადამეტებით დაითესოს 200 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები.

დ. ფარემუზოვი

ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად

ლენინის სახელობის რაიონში

[illegible] 7 დღის განმავლობაში რაიონის [illegible] დაწესებულებებში შეგროვებულია 4.070 ტანსაცმელი და სხვადასხვა საოჯახო ნივთი. ფულად შეგროვებულია 10.045 მანეთი.

ფრონტელთა ოჯახებისათვის ნივთების შეგროვება წარმატებით ჩაატარეს ტრიკოტაჟის კომბინატის მუშაკებმა. მათ შეაგროვეს 270 წყვილი ქალის ჩულქი, 50 წყვილი მამაკაცის წინდა, 27 ცალი ბავშვის კაბა და აგრეთვე სხვა ქსოვილები. ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს მუშაკებმა 185 სხვადასხვა ნივთი შეაგროვეს.

რაიონში აღრიცხულ ფრონტელთა ოჯახებიდან 15 თებერვლისათვის დახმარება უკვე მიიღო 114 ოჯახმა. ასე, მაგალითად, თინა ტორელაშვილმა (კოლექტივიზაციის ქ. № 3), მარიამ მაკაროვამ (მონტინის ქ. № 10), ანა ზო ბაქოევამ (ლოტკის ქ. № 3), ვერა გაჯაძემ (ძრაგის ქ. № 18) და ა. შ.

ფრონტელთა ოჯახებისათვის პროდუქტების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეგროვება წარმატებით გრძელდება.

ი. თევდორაშვილი

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში

წითელი არმიის მებრძოლთა ოჯახების დახმარების **თბილისის 26 კომისრის** სახელობის რაიონული კომისია ენერგიულად მუშაობს, წარმატებით მიმდინარეობს ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად პროდუქტების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა საჭირო ნივთების შეგროვება.

შეგროვებულია პურის და სიმინდის ფქვილი, ლობიო, ბრინჯი, ხახვი და სხვ., 940 კილოგრამამდე კარტოფილი, 100 კილოგრამი ვაშლის ტკბილი (პასტილა), 296 კილოგრამი პომიდორის, კომბოსტოს და სხვა მწნილი, 43 კილოგრამი სოოჯახო საპონი, 800 შეკერა თავსაბანი ფუნილი (შაბანენი), 30 კილოგრამი ძეხვი, 50 კილოგრამი ნავთი და სხვ.

კარგად იმუშავეს მთელ რიგ საწარმოებთან და დაწესებულებებთან გამოყოფილმა ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების კომისიებმა. მუშა-მოსამსახურეთა დახმარებით და ადგილობრივ საშუალებათა გამოყენებით მათ საგრძნობი რაოდენობით შეაგროვეს სხვადასხვა პროდუქტები და ნივთები. ასეთია, მაგალითად თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, მაკარონის ფაბრიკის და სხვა კომისიები.

გამოყოფილმა ბრიგადებმა უკვე შეამოწმეს 2.000-ზე მეტი ფრონტელთა ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები, გამოავლინეს მათი საჭიროებანი და დაეხმარნენ.

უკვე გაეწია დახმარება ფრონტელთა 108 ოჯახს. ფრონტელის მეუღლეს ტ. გერგაულოვას რაიონულმა კომისიამ ბავშვებისათვის მისცა ფეხსაცმლები და პროდუქტები, ასევე დაეხმარენ ხ. ალკეშვილის ოთხ ბავშვ